მარიამ გელხაური •

ახალგაზრდების მოტივები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობისას (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში)••

აბსტრაქტი

პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართული ახალგაზრდების მოტივები განსხვავებულია. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკურ პარტიებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდების მოტივების დადგენა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართული ახლგაზრდების მოტივები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა დაგვანახა, რომ ახალგაზრდობის ნაწილი პარტიული აქტივიზმით ინტერესდება ქვეყანაში ცვლილებების სურვილიდან გამომდინარე. ზოგს კონკრეტულ პარტიასთან იდეოლოგიური სიახლოვე ხიბლავს, ნაწილს კი პრაგმატული მოტივები ამოძრავებს და უფრო პირად ბენეფიტებზე ფიქრობს, ანდა მეგობარი ან ნაცნობია პოლიტიკურ პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის მოტივატორი. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ახალგაზრდობის მთავარი მოტივი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართვისას, ქვეყანაში ცვლილებების სურვილია.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ახალგაზრდობა, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

•• ნაშრომი შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით. გრანტის ნომერი: PHDF-22-3335

შესავალი

ახალგაზრდობა ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს, რომლის სათანადო ჩართულობაც სხვადასხვა მიმართულებით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების მიმართულებას. ახალგაზრდობა საქართველოში ხშირად გვევლინება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, გარდამტეხი პოლიტიკური პროცესების განვითარების ეპიცენტრში.

დამოუკიდებელი საქართველო პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში ოცზე მეტი პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა (cesko.ge, 2016), ხოლო 2020 წლის არჩევნების დროს პარტიათა რაოდენობა 50–მდე გაიზარდა (cesko.ge, 2020). 2020 წლის არჩევნები საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს შორის გამორჩეული იყო: სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების პროტესტმა, საბოლოოდ, ხელისუფლებას დათმობა აიძულა და არჩევნებში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა, კერძოდ, 120/30–ზე, ასევე, მკვეთრად შემცირდა პარტიების ბარიერი 1%–მდე. არჩევნების შემდგომ სხვადასხვა ანგარიშებში ხაზგასმული იყო, რომ აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობდა პლურალისტური და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბებას (NDI, 2020, გვ. 8). საქართველოში პოლიტიკური თემებით ახალგაზრდების დაინტერესების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლინება პოლიტიკურ პარტიებში, კერძოდ, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მათი გაწევრიანებაა. პარტიების სტრუქტურებში, ახალგაზრდობის აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევია საარჩევნო პერიოდებში. ახალგაზრდული ორგანიზაციები პოლიტიკური სუბიექტებისთვის, ხშირად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთერთი მთავარი მექანიზმი აღმოჩნდება ხოლმე. პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართული ახალგაზრდების მოტივებიც განსხვავებულია. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, დაგვედგინა საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკურ პარტი-

ებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდების მოტივები. ჩვენ მიერ შერჩეულ რესპოდენტებთან საუბრისას, გამოიკვეთა ის ძირითადი მოტივები, რომელთა გამოც ახალგაზრდები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ერთვებიან.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუები მიზნობრივად შერჩეულ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრებთან, ხელმძღვანელებთან, დარგის ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან, ჯამში 17 ინტერვიუ ჩატარდა.

აღნიშნული კვლევა სამეცნიერო საზოგადოებისთვის საინტერესოა, რადგან ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები ბევრი არ არის. წარმოდგენილი შედეგები სამეცნიერო წრეებს დაეხმარება საკითხის კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლაში.

ძირითადი ნაწილი

ტრადიციული საზოგადოებისაგან თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი განსხვავება პოლიტიკაში მოქალაქეების მაღალი მონაწილეობა და ღია პოლიტიკური სისტემის არსებობაა (Huntington, 1996, pp. 57-71). მოდერნიზაციის პროცესში სამოქალაქო ჩართულობა და მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება პოლიტიკური მოდერნიზაციის გარეშე რთულია. ამ ყველაფრის მისაღწევად ფუნდამენტური ინსტიტუციური ცვლილებები ნებისმიერ ქვეყანაში აუცილებელია. პოლიტიკური სისტემა უნდა ქმნიდეს ისეთ პლურალისტულ და კონკურენტუნარიან გარემოს, რომელიც გარდამტეხ ცვლილებებს გამოიწვევს საზოგადოების პოლიტიკურ ქცევაში. აღნიშნულ პროცესს ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართული ახლგაზრდების მოტივების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ინტერვიუების ანალიზმა დაგვანახა, რომ ახალგაზრდების ნაწილი პარტიული აქტივიზმით ქვეყანაში ცვლილებების სურვილიდან გამომდინარე ინტერესდება, ზოგი-

ერთს კონკრეტულ პარტიასთან იდეოლოგიური სიახლოვე ხიბლავს, ზოგს კი პრაგმატული მოტივები ამოძრავებს და უფრო მეტად პირად ბენეფიტებზე ფიქრობს, ანდა მეგობარი ან ნაცნობი აღმოჩნდება ხოლმე პოლიტიკურ პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის მოტივატორი. კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების მთავარი მოტივატორი, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართვისას, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ცვლილებების სურვილია. ინტერვიუებში ახალგაზრდები გვესაუბრნენ ქვეყნის წინაშე არსებულ სხვადასხვა გამოწვევებზე, როგორიცაა საგარეო კურსი, უსამართლობა, ეკონომიკური მდგომარეობა. სწორედ ამ ფონზე, ახალგაზრდები თავიანთი პარტიული აქტივიზმით ცდილობენ ცვლილებების მონაწილენი გახდნენ.

ექსპერტთა ხედვით, ახალგაზრდობას უფრო მეტად აქვს ცვლილების მოტივაცია, ვიდრე უფროს თაობებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან არსებულ რეალობას. ახალგაზრდობის ასეთი მონდომება და ცვლილებების სურვილი გამოწვეულია უსამართლობის მძაფრი შეგრძნებით, მათ ჯერ კიდევ არ განუცდიათ იმედგაცრუება და შესწევთ ძალა ენერგიით სავსეებმა სუფთა ფურცლიდან იბრძოლონ ცვლილებებისთვის.

„ჩემი ამოცანა არასოდეს ყოფილა კონკრეტულად პარლამენტის წევრობა. პოლიტიკაში მოსვლის ამოცანა ყოველთვის იყო, თუ რაღაც პროცესში შევიდოდი, მებრძოლა იქ მაქსიმუმისთვის.“ (ფრაზა სიღრმისეული ინტერვიუდან, რესპოდენტი №1. 12 მაისი, 2021);

„აქ ხომ მთლიანად მოხალისეობაზე და სისხლის დუღილზე არის დამოკიდებული ყოველდღიური მათი მუშაობა“ (ფრაზა სიღრმისეული ინტერვიუდან, რესპოდენტი №10, 11 მაისი, 2021).

დღეისათვის, წინა წლებთან შედარებით, ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ პარტიებთან იდეოლოგიური ბმები უფრო შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები თითქმის არ საუბრობენ პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, გარკვეული დაკვირვებით, მაინც შესაძლებელია მათი ამა თუ იმ იდეოლოგიასთან იდენტიფიცირება. ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, დღეს სტუდენტებს უფრო აქვთ წვდომა იდეოლოგიებზე და პოლიტიკურ საკითხებ-

ზე, ამიტომ, როდესაც პოლიტიკურ პარტიაში აქტიურ ჩართვას გადაწყვეტენ, ახალგაზრდები პარტიების იდეოლოგიური ხედვების ძებნას იწყებენ. ამ ფაქტს ისიც ამყარებს, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები და ხელმძღვანელები, ძირითადად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე, ჰუმანიტარული და იურიდიული მიმართულების პროფესიების წარმომადგენლები არიან. მათ პროფესიულად უფრო მეტად აქვთ წვდომა და დაინტერესება პოლიტიკურ იდეოლოგიებთან და ზოგადად პოლიტიკურ კონიუნქტურასთან.

ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელმაც ყველაზე მეტად და გამოკვეთილად შეძლო ახალგაზრდების იდენტიფიცირება, იყო „გირჩი“, რომელიც ძალიან მცირე დახარჯული რესურსების ფონზე, პარლამენტის ოთხი მანდატის მფლობელი გახდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს.

პოლიტიკურ პარტიებში ჩართულობით დაინტერესება ახალგაზრდებში ნამდვილად შეინიშნება, ახალგაზრდებს სურთ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენონ. ამ პროცესში, ბუნებრივია, ახალგაზრდას აქვს მოტივაცია განვითარდეს, მიიღოს გამოცდილება, დაამყაროს კონტაქტები მოქმედ პოლიტიკოსებთან, განივითაროს პიროვნული უნარ-ჩვევები და შეიქმნას პოლიტიკური კარიერა. ახალგაზრდების აღნიშნული მოტივები სრულიად ლოგიკურია. თვითრეალიზების სურვილი, მასლოუს პირამიდის მიხედვით, მოთხოვნილებათა ყველაზე ბოლო საფეხურია. მთავარი ის არის, რომ თვითრეალიზების პროცესში რამდენად „ამართლებს მიზანი საშუალებებს“ (მაკიაველი). მაშასადამე, დღესდღეობით, ახალგაზრდების უმრავლესობა, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მოხალისეობრივად, ცვლილებების სურვილითა და პარტიებთან იდეოლოგიური ბმის მიხედვით ერთვება, ამ პროცესში კი, მათ სურთ, შეიძინონ შესაბამისი პოლტიკური განვითარება, რის შედეგადაც ფიქრობენ, რომ ამ ცვლილებების იმპლემენტატორები გახდებიან და თავის პარტიას წარმატებას მოუტანენ. სიღრმისეულ ინტერვიუებში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ახალგაზრდების კარიერის განვითარების სურვილი

ილუზიურია“ (ფრაზა სიღრმისეული ინტერვიუდან, რესპოდენტი №4, 7 ივნისი, 2021).

ის ახალგაზრდები, რომლებიც პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ფრთაში ერთვებიან მხოლოდ მოხალისეობრივად, მათი ჩართულობის მოტივაცია განსხვავებულია პარტიებში უშუალოდ გაწევრიანებული ახალგაზრდებისგან. რესპოდენტების აზრით, პოლიტიკურ პარტიებში მოხალისეობრივად ჩართულ ახალგაზრდებს უფრო მეტად მერკანტელური მოტივები ამოძრავებთ, ხოლო პარტიაში გაწევრიანებულებს კი იდეოლოგიური და ცვლილებებზე ორიენტირებული ხედვა.

ახალგაზრდების პარტიული აქტივიზმი ზოგჯერ მერკანტელურ მოტივებს ეფუძნება. მანკურ ოლსონის თეორია რომ გავიხსენოთ, ადამიანების პარტიებში ჩართულობის მოტივაცია კოლექტიურ სარგებელს არ ეფუძნება, რადგან ისინი პირადი ბენეფიტებიდან გამომდინარე ხდებიან პარტიების აქტიური წევრნი (PAUL F. WHITELEY, 1995, pp. 211-233). ამის საპირისპიროდ, ჩვენი კვლევის შედეგების მიხდვით, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელი ახალგაზრდების უმრავლესობა მერკანტელურ და პრაგმატულ მოტივებით არ ერთვება პარტიების რიგებში. საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიები ხარჯავენ დიდ ფინანსურ რესურსებს, ამიტომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი დროებით საქმდება პოლიტიკურ პარტიებში და მათი მთავარი მოტივი დასაქმება და ფულადი ანაზღაურებაა. რესპოდენტები გვიყვებიან მათ რიგებში, საარჩევნო პერიოდის დროს, ამგვარი მერკანტელური მოტივებით მყოფ ახალგაზრდებზე. ზოგიერთ ახალგაზრდას, ფინანსური ინტერესის ქონა მიაჩნია სწორად:

„ესე ჰაერიდან ვერ ჩამოვარდებიან ახალგაზრდები. როცა ამდენ რესურს დებს ახალგაზრდა - აუცილებელია მისი ხელშეწყობა“ (ფრაზა სიღრმისეული ინტერვიუდან, რესპოდენტი №17, 10 ივნისი, 2021);

„მე ახალგაზრდულში ვარ და აი რაღაცაში გეხმარები, მე უნდა მქონდეს რაღაც ბენეფიტი, რაც ჩემს განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს ძალიან ლოგიკურია“ (ფრაზა სიღრმისეული ინტერვიუდან, რესპოდენტი №17, 10 ივნისი, 2021).

ინტერვიუებში ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობა დახასიათდა, როგორც დროის გაყვანის, მეგობრების შეძენის თუ გართობის საშუალება, ეს პროცესი კი დროებითია. ახალგაზრდების ნაწილის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ჩართულობის მოტივი საწყის ეტაპზე გახდა მეგობრის ან ახლობლის თხოვნა ყოფილიყო პროცესების აქტიური წევრი. მაგალითად, „ქართული ოცნების“, „ლეიბორისტების“, „ევროპული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები და ხელმძღვანელები ასახელებენ ჩართულობის ამგვარ მიზეზს. შედარებით იშვიათად დასახელდა პარტიის ლიდერისადმი სიმპათიები და ოჯახის პოლიტიზირებულობა.

დასკვნა

ახალგაზრდების პოლიტიკური აქტიურობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში ცვლილებების განხორციელების სურვილით და ახალგაზრდობას სწორედ ამ პროცესების თანამონაწილეობა სურს, ასევე, თანამედროვე ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი საკმაოდ გათვითცნობიერებულია პოლიტიკურ იდეოლოგიებში, პარტიებში ჩართული ახალგაზრდების უმეტესობა სოციალური და პოლიტიკური, იურიდიული ან ჰუმანიტარული მიმართულების პროფესიის წარმომადგენელია, რომლებიც უფრო მჭიდროდ არიან თეორიულად პოლიტიკასთან დაკავშირებულნი და რომელთაც სურთ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება. ამიტომ, ახალგაზრდების არჩევანი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის არჩევისას, პირველ რიგში, იდეურ ბმას უკავშირდება.

თუმცა, გარდა იდეალისტებისა, არსებობს ახალგაზრდების მეორე ნაწილი, რომლისთვისაც პარტიასთან იდეოლოგიური ბმა უმნიშვნელოა. ასეთი ახალგაზრდები, ძირითადად, მერკანტელური მოტივებით მოქმედებენ, პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით ისინი ცდილობენ პირადი ბენეფიტების მოპოვებას, როგორიცაა, სამსახური, ფულადი შემოსავალი, გავლენების მოპოვება, კავშირების გაღრმავება და კარიერული წინსვლა. ყველაზე ხშირად, თვითრეალიზების გამძაფრებული სურვილიდან გამომდინარე, ახალგაზრდები პარტიებთან თა-

ნამშრომლობისას ორიენტირებულნი არიან პოლიტიკური კარიერის განვითარებაზე, თუნდაც ამისთვის მოუწიოთ კონკრეტული ღირებულებების დათმობა. თუმცა ეს არ არის აპრიორი იმისა, რომ თვითრეალიზების სურვილის მქონე ახალგაზრდას არ სურს ქვეყნის ცვლილებები უკეთესობისკენ, უბრალოდ, ამ პროცესში ახალგაზრდების ნაწილისთვის პრიორიტეტი უფრო პრაგმატული მოტივები ხდება, ვიდრე ღირებულებითი.

ის რომ პარტიაში და ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მყოფ ახალგაზრდას აქვს ფინანსური უზრუნველყოფის მოტივი, სრულიად ბუნებრივია. დღეისათვის ახალგაზრდობა მრავალი ინდივიდუალური გამოწვევის წინაშეა, როდესაც იგი მთელს რესურსსა და დროს ხარჯავს პარტიის პოპულარიზებაში, მას სჭირდება მატერიალური ხელშეწყობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალგაზრდა იძულებული ხდება, დატოვოს პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. ამავე დროს, პოლიტიკურ პარტიაში ჩართულობა მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფის მოტივით არ უნდა შემოიფარგლებოდეს, ბუნებრივია, იდეური ბმა უპირველესია, რითაც უფრო გაჯანსაღდება პოლიტიკური გარემო.

ახალგაზრდების ნაწილის მერკანტელურ მოტივების მაპროვოცირებელი, პირველ რიგში, თავად პოლიტიკური კლასია. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას არ აქვს გააზრებული ახალგაზრდა თაობის მოთხოვნილებები, ვერ აფასებს მათ სათანადოდ, მათი როლი პარტიებში შემოფარგლულია მხოლოდ დაბალ რგოლში, მათ არავინ უსმენს, არ ითვალისწინებენ მათ აზრებს, ამ ფონზე, პოლიტიკური პარტიები იდეურად ნაკლებად მიმზიდველნი ხდებიან ახალგაზრდებისთვის და მათი ძირითადი მოტივაცია ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობისა პირადი ბენეფიტის მიღება რჩება, რომელიც მხოლოდ წინასაარჩევნოდ მიიღწევა და არჩევნების შემდგომ კი ახალგაზრდების უმრავლესობა იძულებული ხდება დატოვოს ახალგაზრდული ორგანიზაცია, ან გადავიდეს ისეთ პოლიტიკურ პარტიაში, რომელიც უფრო მეტ პირად ბენეფიტს მოუტანს. სწორედ, ეს მანკიერი და ზერელე პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს ახალგაზრდების კონკრეტული მოტივების

ჩამოყალიბებას, იმ ადამიანების, რომლებიც სუფთა ფურცლიდან ცდილობენ დაიწყონ ან გააგრძელონ პოლიტიკური სოციალიზაცია. ამ პროცესში კი, არაჯანსაღი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში, იძულებულნი არიან დაემსგავსონ იმ ოდიოზურ პოლიტიკოსებს, რომელთა წყალობითაც, პოლიტიკა დღევანდელ საქართველოში აღიქმება „ბინძურ“ საქმედ. საბოლოოდ კი სწორედ ეს განაპირობებს „მოჯადოებულ წრეზე ტრიალს“.

ბიბლიოგრაფია

- cesko.ge. (2016, 10 8). *საქართველოს საარჩევნო კომისია.* Retrieved 12 11, 2022, from chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://cesko.ge/static/res/docs/PartiebiParlamenti201629.09.2016.pdf
- cesko.ge. (2020, 10 31). *ცენტრალური საარჩევნო კომისია.* Retrieved 12 11, 2022, from chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://cesko.ge/static/res/docs/31.10.2020_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%AE.%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%92.%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0.%E1
- NDI. (2020 წლის 15 11). ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ. თბილისი, საქართველო. მოპოვებული 2022 წლის 11 12, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202%202020%20-%20GEO%20-%20FINAL_0.pdf-დან
- Huntington, S. (1996). Political Order in Changing Societies. *Yale University Press.*
- PAUL F. WHITELEY, C. O. (1995, 03). Rational Choice and Political Participation Evaluating the Debate. England.

სიღრმისეული ინტერვიუები

- რესპოდენტი №1 - მე-10 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლიდერი.
- რესპოდენტი №2 - მე-10 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, პარტია „ენმ“-ს წევრი.

- რესპოდენტი №3 - პარტია „ლელოს“ პოლიტსაბჭოს ახალგაზრდა წევრი.
- რესპოდენტი №4 - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ექსპერტ-ანალიტიკოსი, ნაციონალიზმის მკვლევარი.
- რესპოდენტი №5 - „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად პარტია „ლელოს“ წევრი
- რესპოდენტი №6 - პარტია „ევროპული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.
- რესპოდენტი №7 - პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ახალგაზდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროფესია - იურისტი, კრიმინოლოგიის მიმართულებით პროფესორის ასისტენტი.
- რესპოდენტი №8 - ახალგაზრდულის ხელმძღვანელი პარტია - „ლეიბორისტები“, პროფესიით - მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა.
- რესპოდენტი №9 - მოძრაობა „შეცვალეს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარტია „ენმ“-სთან დაახლოებული
- რესპოდენტი №10 - პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი
- რესპოდენტი №11 - მოძრაობა „შეცვალეს“ ახალგაზრდა წევრი, პროფესია - სოციოლოგი.
- რესპოდენტი №12 - „პატრიოტთა ალიანსის“ ახალაგზრდული ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი, პროფესია - საერთაშორისო ურთიერთობები.
- რესპოდენტი №13 - პროფესია საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტი, პარტია – „ლელო“ ახალგაზრდული ფრთის ყოფილი წევრი, ამჟამად გახარიას გუნდის წევრი
- რესპოდენტი №14 - პარტია „ლეიბორისტები“, პოლიტსაბჭოსა და ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. პროფესია ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი.
- რესპოდენტი №15 - 23 წლის, იურისტი, პარტია „ევროპული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, ამჟამად გახარიას გუნდის წევრი.
- რესპოდენტი №16 - „სტრატეგია აღმაშენებელის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, პროფესია - საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტი.
- რესპოდენტი №17 - პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი, პარტია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი, ამჟამად პარტია - „საქართველოსთვის“ (გახარიას გუნდი) წევრი.

Mariam Gelkhauri

Motives of Youth to Get Involved in Youth Organizations of Political Parties (2020 Parliamentary Elections in Georgia)

Summary

The motivations of young people to get involved in youth organizations of political parties vary. One of the main objectives of the present study was to identify the motives of young people who are actively involved in political parties during the 2020 parliamentary elections in Georgia. People do a certain job for different motives. In interviews with the respondents we selected, the main motives for which young people join the youth organizations of political parties were elaborated.

The 2020 parliamentary elections were characterised by the diversity of motives for young people to join the youth organizations of political parties. The analysis of the in-depth interviews showed us that part of the young people are interested in party activism because they want change in the country. Some are attracted by ideological proximity to a particular party, while others are driven by pragmatic motives and think more about personal benefits, or a friend or acquaintance sometimes proves to be a motivator for participation in political party youth organizations.

Based on the empirical data of the study, the main motivation of young people to get involved in the youth organizations of political parties is the desire to change the current processes in the country.